

ფიზიკური პირის ქონების გადასახადი დასაბეგრ ქონებაზე (გარდა მიწისა) 1422

ფაქტობრივი გარემოებები	შეფასება	ლონსიძეებები
<p>ფიზიკური პირის ოჯახის მიერ 2015 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა გადაჭარბა 40 000 ლარს.</p>	<p>სსკ-ის 202-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.</p>	<p><b>I ვარიანტი:</b> ფიზიკურ პირს დაერიცხება კუთვნილი ქონების გადასახადი, გადასახადის შემცირების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.</p>
<p><b>I ვარიანტი</b> ფიზიკურ პირს საკუთრებაში ჰქონდა საცხოვრებელი ბინა, რომლის რეალიზაციაც მოახდინა 2015 წლის აგვისტოს ბოლოს.</p>		<p><b>II ვარიანტი:</b> ფიზიკური პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება.</p>
<p><b>II ვარიანტი</b> ფიზიკურმა პირმა კომერციული ფართი შეიძინა 2015 წლის მარტის დასაწყისში.</p>	<p>სსკ-ის 205-ე მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილების გათვალისწინებით, ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიწვევს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით. ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდის წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით. ამ ბრძანებით დამტკიცებული ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმა და მისი შევსების წესი ითვალისწინებს დასაბეგრ ქონებაზე ქონების გადასახადის გამოანგარიშებას ქონების ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებობის პერიოდის (თვეების) შესაბამისად (91-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).</p>	
<p><b>I ვარიანტი:</b> ფიზიკურმა პირმა 2016 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში არ ასახა 2015 წელს რეალიზებული დასაბეგრი ქონების შესახებ მონაცემები, იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული ქონება საკუთრებაში არ ჰქონდა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.</p>		
<p><b>II ვარიანტი:</b> ფიზიკურმა პირმა 2015 წლის მარტში შეძენილ ქონებაზე, რომლის შესახებ მონაცემები ასახა 2016 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში, ქონების გადასახადი გადაიხადა საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად.</p>	<p>ფიზიკური პირი ვალდებული იყო, 2016 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციაში აესახა 2015 წლის განმავლობაში საკუთრებაში არსებული ქონება (როგორც წლის განმავლობაში რეალიზებული, ასევე შეძენილი) და ქონების გადასახადი გადაეხადა მის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად (რეალიზებულ ქონებაზე წლიური ქონების გადასახადის 8/12, ხოლო შეძენილზე - 10/12).</p>	

**ანოტაცია**  
**„ფიზიკური პირის ქონების გადასახადი დასაბეგრ ქონებაზე (გარდა მიწისა)“ №1422**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, ფიზიკური პირის ოჯახის მიერ 2015 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 40 000 ლარს.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში ფიზიკურ პირს საკუთრებაში ჰქონდა საცხოვრებელი ბინა, რომლის რეალიზაციაც მოახდინა 2015 წლის აგვისტოს ბოლოს. ხოლო მეორე შემთხვევაში ფიზიკურმა პირმა კომერციული ფართი შეიძინა 2015 წლის მარტის დასაწყისში.

პირველ შემთხვევაში ფიზიკურმა პირმა 2016 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში არ ასახა 2015 წელს რეალიზებული დასაბეგრი ქონების შესახებ მონაცემები, იმ მოტივით, რომ მას აღნიშნული ქონება საკუთრებაში არ ჰქონდა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხოლო მეორე შემთხვევაში ფიზიკურმა პირმა 2015 წლის მარტში შეძენილ ქონებაზე, რომლის შესახებ მონაცემები ასახა 2016 წლის ქონების გადასახადის წლიურ დეკლარაციაში, ქონების გადასახადი გადაიხადა საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად.

სსკ-ის 202-ე მუხლის მე-5 ნაწილის გათვალისწინებით, ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გამომდებლის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე. ამავდემუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.

სსკ-ის 205-ე მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილების გათვალისწინებით, ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით. ქონების გადასახადის გამოანგარიშება და გადახდის წესი განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით. ამ ბრძანებით დამტკიცებული ფიზიკური პირის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმა და მისი შევსების წესი ითვალისწინებს დასაბეგრ ქონებაზე ქონების გადასახადის გამოანგარიშებას ქონების ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებობის პერიოდის (თვეების) შესაბამისად (91-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).

ფიზიკური პირი ვალდებული იყო, 2016 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციაში აესახა 2015 წლის განმავლობაში საკუთრებაში არსებული ქონება (როგორც წლის განმავლობაში რეალიზებული, ასევე შეძენილი) და ქონების გადასახადი გადაეხადა მის საკუთრებაში ქონების ყოფნის დროის პროპორციულად (რეალიზებულ ქონებაზე წლიური ქონების გადასახადის 8/12, ხოლო შეძენილზე - 10/12).

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში ფიზიკურ პირს დაერიცხება კუთვნილი ქონების გადასახადი, გადასახადის შემცირების შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად. ხოლო მეორე შემთხვევაში ფიზიკური პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება.